




საქართველოს



 **დაარსებულია 1918 წელს.** 

პარასკევი, 20 თებერვალი, 2009 წელი
№32

რესპუბლიკა



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭო, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება ღრმა მწუნარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი –

გიორგი გიგაიში

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ბიორგი ბიბაურის ხსოვნას

ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეტყვე-მეცნიერი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს მეტყვეთა საზოგადოების პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი გიორგი ნიკოლოზის ძე გიგაური.

გ.გიგაური დაიბადა 1924 წელს ყაზბეგში, ხევში ცნობილი ნიკოლოზ გიგაურის ოჯახში. თბილისის მე-20 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1944 წელს გახდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი. ამ დროიდან იწყება მისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი ურთიერთობა ქვეყნის წამყვან აგრარულ დაწესებულებასთან. სტუდენტი, ასპირანტი, ასისტენტი, დოცენტი, პროფესორი. აი ის ხანგრძლივი და ნაყოფიერი გზა, რომელიც მან განვლო ამ დაწესებულებაში. ამას ემატება მრავალი მეცნიერებათა კანდიდატის და დოქტორის აღზრდა, სახელმძღვანელოების გამოქვეყნება. სტუდენტობის წლებიდან გ.გიგაური გამოირჩეოდა სიბეჯითით, აქტიურობით, სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებთან გამორჩეული ურთიერთობით, რამაც მას, პირად თვისებებთან ერთად, დამსახურებული ავტორიტეტი და პატივისცემა მოუტანა. ის წარმატებით ხელმძღვანელობდა ახალგაზრდობას ჯერ ინსტიტუტის, შემდეგ რაიონის და ბოლოს ქალაქის მასშტაბით. 1948 წელს სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ გ.გიგაური აგრძელებს სწავლას ასპირანტურაში და აკად. გ.გულისაშვილის ხელმძღვანელობით ვადაზე ადრე, 1953 წელს, წარმატებით იცავს დისერტაციას სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

1953 წელს სულ ახალგაზრდა ინიშნება „ტყეპროექტის“ საქართველოს კანტორის მმართველად. 1953-1957 წლებში გ.გიგაური სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ერთ-ერთი თავკაცია.

1956 წლიდან გ.გიგაური პარალელურად მუშაობას იწყებს თბილისის სატყეო ინსტიტუტში (ამჟამად ვასილ გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტი) ჯერ უფროს მეცნიერ მუშაკად, ხოლო 1980 წლიდან 2006 წლამდე – დირექტორად. ხანგრძლივი დროის მანძილზე გ.გიგაური ქვეყნის სატყეო დარგის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო როგორც სატყეო მეურნეობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, შემდეგ კი სატყეო მეურნეობის მინისტრის მოადგილე.

1976 წელს გ.გიგაური წარმატებით იცავს სადოქტორო დისერტაციას. 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 15 მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს ავტორია. მისი ნაშრომები სატყეო დარგის ყველა საჭირობო პრობლემას ეხება. მონოგრაფია „საქართველოს ტყეებში მეურნეობის გაძღოლის საფუძვლები“

მეტყვევითა არაერთი თაობის სამაგიდო წიგნად იქცა. ამ ნაშრომისთვის 1985 წელს მას მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია.

1988 წელს გ.გიგაური არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1993 წელს – ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად). მისი მრავალწლიანი ნაყოფიერი მოღვაწეობა აღნიშნული იყო მრავალი ეროვნული და საზღვარგარეთის ჯილდოთი.

გ.გიგაურმა ღირსეული, გამორჩეული ოჯახი შექმნა: სამი შვილი, ექვსი შვილიშვილი, სამი შვილთაშვილი.

საზოგადოების ფართო წრეებში და განსაკუთრებით მეტყვევითა დიდ ოჯახში გ.გიგაური გამორჩეული პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა, რადგანაც იყო საუკეთესო ადამიანური თვისებების მატარებელი – უაღრესად განათლებული, თავმდაბალი, უანგარო, პატიოსანი, პრინციპული და ამავედროულად ტოლერანტული, საიმედო და კეთილი მეგობარი, დაუღალავი მასწავლებელი.

სახელოვანი მეცნიერის და პედაგოგის, შესანიშნავი მოქალაქის და უკეთილშობილესი ადამიანის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მრავალრიცხოვანი მეგობრების, კოლეგებისა და მოწაფეების ხსოვნაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემია